



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №039/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - მარიამ სურმანიძე

ფაქტები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის, 2016 წელს დაიდო საადვოკატო მომსახურების შეთანხმება, სისხლის სამართლის საქმეზე სხვა პირის შუამავლობით. ხელშეკრულება მოიცავდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, იურიდიული მომსახურების გაწევას, მათ შორის, საგამომიებო ორგანოებში, პროკურატურაში, და საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობას. ადვოკატმა ჰონორარის სახით მოითხოვა 5000 ლარი, რომელიც სრულად მიიღო კლიენტისაგან. შუამავალმა ნოტარიული წესით გააფორმა საგარანტიო წერილი, რომლითაც საკუთარ თავზე აიღო კლიენტისათვის თანხის დაბრუნების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ 1 თვის განმავლობაში, ადვოკატი ვერ გააფორმებდა საპროცესო შეთანხმებას კლიენტის სახელით და ვერ შეუმცირებდა ბრალდებულს სასჯელს 11-დან - 5-6 წლამდე. ადვოკატი აცხადებს, რომ მან შეადგინა საპროცესო შეთანხმების მიღწევის თაობაზე წერილობითი განცხადება პროკურატურაში წარსადგენად კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ამასთან განმარტავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი შეადგინა იმ ეტაპზე, რომდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით და ამის შემდგომ, საერთო ახლობელმა სთხოვა აღნიშნული განცხადების დაწერა. ადვოკატს არ უწარმოებია ბრალდებულის საქმე იმ ფარგლებში, რისთვისაც მან მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი. აღნიშნულს ადასტურებენ მხარეები. ადვოკატს არ დაუბრუნებია გამოუმუშავებელი ჰონორარი კლიენტისათვის.

პროცესუალური ისტორია:

კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა, ბ), ეთიკის კოდექსის 3, 8.5 და 8.15 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად და მისი ინტერესების გათვალისწინებით, მით უფრო, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა, ადვოკატს არ აქვს უფლებამოსილება თავისი ინიციატივით მესამე პირთან შეთანხმებით, განახორციელოს რაიმე იურიდიული მოქმედება ყოფილი კლიენტის საქმეზე, თუნდაც მიიჩნევდეს, რომ ეს ყოფილი კლიენტის ინტერესებისთვის სასარგებლოდ იქნება. ადვოკატს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში შეასრულა გარკვეული მოქმედებები გიორგი ბექაურის ინტერესების სასარგებლოდ საპროცესო შეთანხმების მისაღწევად და შესაბამისად, კვალიფიციურად აწარმოა

¹ <https://www.gba.ge/pdf/5d6cf75db74fc.pdf/039.18%20%2024.04.19%20%20gaftrtileba.pdf>

კლიენტის საქმე, მათ შორის არ არის წარმოდგენილი რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სარწმუნოს გახდიდა იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა გასწია გარკვეული იურიდიული მომსახურება კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ - შუამავალმა იკისრა ვალდებულება ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარი დაებრუნებინა გარკვეული პირობების დადგომის შემთხვევაში. კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმება ითვალისწინებდეს მესამე პირის პასუხისმგებლობას ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნების შემთხვევებზე, თუმცა აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება ადვოკატს ათავისუფლებდეს ეთიკური ვალდებულებების დაცვისგან. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული მომსახურება არ იყო პროპორციული მიღებული ჰონორარის და გაუწეველი მომსახურების გაქვითვა უნდა მოხდეს.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა, ბ), ეთიკის კოდექსის 3, 8.5 და 8.15 მუხლების დარღვევა. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.